

## ილია და სალიტერატურო კართული

ქართული სამწერლო ენა ხალხური სამეტყველო ენის საფუძველზე იყო შექმნილი. ეს კავშირი არასოდეს დარღვეულა, ამიტომ სამწერლო ქართული ენა ყოველთვის გასაგებია ქართველთათვის უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე (კ. კეკელიძე)<sup>1</sup>.

ერთიან სამწერლო ქართულს თავის ხანგრძლივ ისტორიაში აქვს შედარებით „უფრო ლიტერატურული“ და „უფრო ხალხური“ პერიოდები.

ქრისტიანობა, როგორც კ. კეკელიძე წერს, ფრიად მწიგნობრული სარწმუნოებაა და ქართულ სამწერლო ენას, როგორც ამ იდეოლოგიის ერთ-ერთ მსახურს, ლიტერატურული ტენდენციები გამუდმებით სდევდა თან. ამ ტენდენციის გამოვლენა იყო ზოგი არაბუნებრივი ფორმის შემუშავებაც, როგორცაა: **ღმრთის, მკრდის, განფრდა, ფრდილი** და სხვა ამ ტიპის სახელთა და ზმნათა ფორმები. სალიტერატურო ენის განვითარების დინამიკა ძირითადად მაინც ბუნებრივ საწყისებს ემყარება, ამიტომ მრავალი ხელოვნური ლიტერატურული ფორმა კვლავ ენის კანონთა ბუნებრივ სფეროს უბრუნდება. ანდა სულაც გადის ხმარებიდან, ბოლოს — საერთო-სახალხო ენიდანაც.

„ბუნებრივიც“ არ არის ადვილი გამოსარჩევი: მრავალი ფორმა მთელი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში იბრძვის „ბუნებრიობისათვის“, რომელიც სალიტერატურო ენაში ხან ერთი ნიშნით გამოხატება, ხან — მეორით, ე. ი. ხან ერთი ნიშანი აძლევს ფორმას ბუნებრიობას, ხან — მეორე. ეს ნიშნები არცთუ იშვიათად რაღაცით შეუთავსებელია ერთიმეორესთან. გამოდის, თვით ბუნებრიობა ცვალებადი კატეგორიაა და ერთი და იმავე სისტემის ფარგლებში შეიძლება შეიცვალოს დროის მიხედვით. მაგალითებისთვის შორს წასვლა არ დაგვიჩირდება, ავიღოთ ბუნებრივი ს ვ ლ ა [ს უ ლ ა] (შდრ. მე

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 33.

(ე)ვალ, შენ ხუალ, იგი ვალ-ს). ძველ ქართულში იგი შეცვლილია სღვა ფორმით, რომელსაც არა აქვს არც მორფოლოგიური და არც ფონემატური გამართლება, მაგრამ ძველი ქართულის ნორმად იქცა -ავ-თემისნიშნისა ზმნათა ანალოგიით (ფარვა, მალვა, ბარვა...), ამის გამო ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. „გეფხისტყაოსნის“ ვლა კი იმას გვაფიქრებინებს, რომ თვით სვლა, ყოველმხრივ გამართული მორფოლოგიური და ფონემატური მოდელების მიხედვით, მაინც ლიტერატურული შემოქმედებაა ს- პრეფიქსის გამო, ქართული ენა საბოლოოდ ისევ სვლა-ს დაუბრუნდა. დასახელებულ ფორმათაგან რომელია უფრო ბუნებრივი?

როცა ამა თუ იმ ფორმის ბუნებრიობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს განუყნებელი სტრატული კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ენის ბუნებას. ენის გლობალურ სისტემაში კი სტრატული კანონზომიერებანი ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს და იმის გამოცნობა, როდის რომელი იქცევა ბუნებრივად, რასაც შესაძლოა ცვლილებაც მოჰყვეს სხვა ენობრივი ფენის — სტრატუმის კანონზომიერებაში, წინასწარ შეუძლებელი ჩანს: რატომ არის ძველი ქართული ძრავს ზმნისთვის ბუნებრივი ძრ-ვ-ა საწყისი, მიუხედავად ფონემატური გაუმართაობისა? ამავე რიგისა კლვა, ხრვა... ფორმებიც. აქ დაცულია მორფოლოგიურ ელემენტთა ბუნებრივი თანამიმდევრობა. ნორმის წარმმართველი ამ დროს, მაშასადამე, მორფოლოგიური მოდელი აღმოჩნდა, მაგრამ საშუალება ქართულმა უპირატესობა ფონემატური სისტემის კანონებს მისცა და საწყისები ფონემათა სხვა განაწილებით მოგვევლინენ: ძვრა, კვლა, ხვრა...

არ არის გამორიცხული, რომ სხვადასხვა ქვესისტემაში (ვთქვათ, დიალექტებში) ერთსა და იმავე ფორმაში განსხვავებული ცვლილებების საფუძველზე სხვადასხვა ნორმა დაიდოს ერთსა და იმავე დროს: სლიტერატურო ქართულის გვქონდა ფორმის გვერდით დიალექტურ ქვესისტემებში შევხვდებით ქვონდა და ქონდა ფორმებსაც. წარმოდგენილ ყველა ფორმას თავისი გამართლება აქვს. სალიტერატურო ენის ნორმა გვქონდა-ს იცავს მორფოლოგიური მოდელის პრიმიტის საფუძველზე (თუმცა ფუძე-დიალექტები ქართლური და კახური ქვონდა-ს ან ქონდა-ს არჩევენ); ამის გვერდით მორფოლოგიური პრინციპით გამართული ლიტერატურული ძრვა, ხრვა შეიცვალა უდავოდ დიალექტური ძვრა, ხვრა... ფორმებით, რომლებშიც ელემენტთა განაწილებას უკვე ფონოლოგიური კანონები განაგებს.

მწერალი ყოველთვის დიდი დილემის წინაშე დგას: მას მემკვიდრეობით ეძლევა გარკვეული ნორმები, ზოგი — ათასწლოვანიც; ამავე დროს მწერლობის ენას და მისი საშუალებით საერთო სალიტერატურო ენასაც ყოველი ებოქა უყენებს თავის მოთხოვნებს, რომლებიც სიახ-

ღვია სალიტერატურო ენისთვის; მწერალზე დიდი გავლენა აქვს მის მშობლიურ დიალექტსაც. რაც შემთხვევაში ეს გავლენა გადამწყვეტიც აღმოჩენილა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა თუ შემდგომი განვითარებისათვის.

როცა ვმსჯელობთ ილია ჭავჭავაძის როლზე ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, გასათვალისწინებელია ყველა ის პრობლემა, რომელიც აუგა XIX საუკუნის 60-იანი წლების სალიტერატურო ქართულის წინაშე: მემკვიდრეობა, რომელსაც თბუთმეტსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა; ანტონ პირველისა და მისი სკოლის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის I ნახევარში ნორმირებული სალიტერატურო ენა; ილიას თანამედროვე ქართული მწერლობა თავის პრაქტიკულ და თეორიულ გადაწყვეტათა სიჭრელით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა ძირითადად ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო: 1) უნდა გასწორებულიყო სალიტერატურო ენის ისტორიული ნაკლი, რომელიც თანდათან უფრო ხელშესახები ხდებოდა; 2) მეორე მხრით, საჭირო იყო ბრძოლა მწერლობაში დიალექტიზმებისა და დაუხვეწავი ფორმებისა თუ ფრაზების განუკითხავად შემოტანასთან და უაზრობამდე მიყვანილ კალკებთან ნათარგმნ ლიტერატურაში.

ისტორიული ნაკლი ანბანის ზედმეტ ნიშნებთან იყო დაკავშირებული. ფონოლოგიურად გაუმართლებელი ასოები (ე. ი. რომელთა შესაბამისი ფონემა ქართულში არ იყო) საუკუნეების განმავლობაში მრავალი ორთოგრაფიული გაუგებრობის წყაროდ იქცა; მათი მეცნიერული ახსნა და წესრიგში მოყვანა შეუძლებელი გახდა, რადგან ის ინი არ არსებული ენობოვი ელემენტების ნიშნებს წარმოადგენდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მათთან დაკავშირებული სიჭრელე კარგად არის ცნობილი და აღარ განვავრძობთ მსჯელობას ამ თვალსაზრისით. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ მათი ზედმეტობის შესახებ, განსხვავებით წინა ეპოქებისგან, უკვე ლაპარაკობდნენ და წერდნენ კიდევ. ნიადაგი მომზადებული იყო, საჭირო იყო ძლიერი ხელი, რომელიც ბოლოს მოუღებდა ამ ისტორიულ ნაკლს.

ანტონ კათალიკოსის სკოლამ ძველი ქართულის ყველა ნიშანი შეინარჩუნა. ანტონმა მზამხარელი ნორმები მიიღო X—XII საუკუნეებისაგან. ეს იყო დიდი ათონელებისა და „ღვთაებრივი ფილოსოფოსის“ — იოანე პეტრიწის ხელში გამოვლილი ქართული. მათ ხელი არ უხლიათ ზედმეტი ნიშნებისათვის. პირიქით, ამ პერიოდში მოემატა ქართულ ანბანს ბერძნული ფ (ანტონის დროს ფ-თი შეიცვალა); ამ

პერიოდში **ა**-ს და **ი**-ს სახელთა ფორმებში ზოგჯერ ერთიმეორის ადგილზე ხმარობენ; ამვე პერიოდში უმარცვლო **უ**-ს მომდევნოდ დაიწყეს მხოლოდ **მ**-ს წერა (ძუშლი გუშტყვს, წუშლი და სხვ.). ძველ ქართულთან შედარებით კლასიკურ პერიოდში ორთოგრაფია უფრო დასცილდა ენის ბუნებას და უფრო ხელოვნურიც გახდა.

ანტონმა სცადა ზოგი ორთოგრაფიული წესის სრულქმნა: უმარცვლო **უ**-ს, რომელიც იტალიელი მისიონერების მიხედვით **უ** ნიშნით გამოხატა, წერდა თანხმოვანთა მომდევნოდ, ხმოვნებთან და თანხმოვნების წინ კი — **ვ**-ს; ანტონი ბრუნების წესებს იოლად მოერია: სახელებს შეუქმნა ისეთი პარადიგმები, რომლებიც დღემდე ძალაშია; პირის ნიშნები **X—XII** საუკუნეების ძეგლების მიხედვით იხმარა, სხვა მხრივ კი ცდილობდა ზმნათა პარადიგმები მაინც თავისი დროის ქართულის მიხედვით გაემართა (შდრ. „ქართული ღრამმატიკის“ I და II რედაქციები). ანტონის გრამატიკული წესები უდავოდ ახალი ქართულისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ პირადად ანტონის სტილი, მიუხედავად იმისა, რომ არ ქმნიდა ხელოვნურ ფორმებს, მაინც **X—XII** საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაშრომების სტილს მიჰყვებოდა მეცნიერული მსჯელობის დროს — ესეც მემკვიდრეობად ერგო **XIX** საუკუნეს: ამ საუკუნის I ნახევარიც ანტონის ნორმებს მისდევდა, ოღონდ არა იმის გამო, თითქოს ვადაძწყვეტი ანტონის პიროვნება იყო, როგორც ფიქრობენ; მიზეზი იყო რაციონალური აპრინციპები, რომლებიც მთელს ევროპაში, მათ შორის რუსეთის იმპერიაშიც, ბერძნულ-ლათინური გრამატიკების მიხედვით შედგენილ წესებს საუკუნოვან გამძლეობას აძლევდა. ანტონის პიროვნება კი იმდენად განამტიკებდა მისი გრამატიკის გავლენას, რამდენადაც იგი, ეს გრამატიკა, ადეკვატური იყო იმ დროის ქართული ენისა. ამ მხრივ კი მას ტოლი არ გამოსჩენია ჩვენი საუკუნის გრამატიკულ სახელმძღვანელოებამდე, რომლებიც დიდად არიან დავალებულნი ანტონის გრამატიკისაგან. **XIX** საუკუნის 40—50-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში ანტონის გრამატიკა დამატებით სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ქართულ ენაში. ამის სანქცია ანტონის გრამატიკას მოპოვებული ჰქონდა ფრიად მაღალი რანგის მეცნიერებისაგან, როგორებიც იყვნენ იოანე ბატონიშვილი, იმარი ბროსე, დ. ჩუბინაშვილი და სხვანი.

პეტერბურგის ქართველოლოგთა სკოლამ უარყო **უ**, **მ**, **ჟ**, **ჟ**, **ჟ**, **ჟ**, **ჟ** ქართულ ორთოგრაფიაში (იხ. დ. ჩუბინაშვილის „Краткая грузинская грамматика“, С.-Петербург, 1855) წ. ამას ქართული ენის საუნივერსიტეტო კურსში აცნობდნენ ქართველ სტუდენტებს. მათ შორის, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძესაც. ეს მაინც კონკრეტულ მოვლენებს მიეწერება, უფრო არსებითი ამ შემთხვევაში იყო ენის დე-

მოკრატინაციის ზოგადი პრინციპების ევროპული გავების შეთვისება ქართველთაგან. ეს პრინციპები ევროპაში რენესანსს მოჰყვა. მათ სათავეებთან იდგა დანტე ალიგიერი, რომელმაც სპეციალური ტრაქტატი უძღვნა სალიტერატურო ენის საკითხებს. დანტე ალიგიერის პოზიციები განმტკიცეს ფლორენციელმავე დიდმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა: ფ. პეტრარკამ, ჯ. ბოკაჩომ, ნ. მაკიველიმ...

კ. გოლდონი ამოდ ცდილობდა გზა გაეკაფა ლიტერატურულ სარბიელზე შშობლიური ვენეციური დიალექტისათვის: სალიტერატურო ენას იტალიაში შესვეურობდა სპეციალური აკადემია. ევროპა სალიტერატურო ენას ამყარებდა სასახლის კარის დახვეწილ ენაზე. მაღალი გემოვნება და ნიჭიერება სალიტერატურო ენის შემქმნელთა ძირითად თვისებებად გამოცხადდა. საფრანგეთზე გამოვლით ეს იდეები რუსეთის იმპერიამდე აღწევდა ე. ტრედიაკოვსკის, მ. ლომონოსოვის, ა. ბარსოვისა და ნ. კარამზინის მეშვეობით. იტალიაში დემოკრატინაციის პრინციპები დრამატურგი ვ. ალფიერის ქმნილებებში უფრო რადიკალური ზღვება ხალხურ მეტყველებასთან კავშირის გამო. ამას გამოსმაურება აქვს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და რუსეთშიც. ალ. პუშკინი მწერლობას მოუწოდებს ხალხის ენასთან დაახლოებას. მისი თქმით, ახალი სულის შთაბერვა შეეძლო მხოლოდ ხალხის ძლიერ და ძარღვიან ენას; დაბალი მასის საკრებულო ადგილებსა და ხალხურ ზღაპრებში ისეთი რამის გავება შეიძლება, რასაც კაცი ვერასოდეს წაიკითხავს ჟურნალებსა და გაზეთებში, — ჭიდაგებდა იგი.

რუსული ენის ჩამოყალიბებისა და მისი დემოკრატინაციისთვის ბრძოლა დაიწყო XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან. ტონის მიმცემი თვით იმპერატორი პეტრე პირველი იყო. XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე დიდი ბრძოლა იყო გაშლილი ახალი რუსული ენის ჩამოყალიბებისათვის ევროპული პრინციპების შიხედვით; ამავე საუკუნის 20-იანი წლები კი პუშკინის იდეებით არის ნიშანდებული.

ქართველი 60-იანელების დროს ენის დემოკრატინაციის პრინციპები რუსეთში უკვე გამოკვეთილია და ჩამოყალიბებულიც არის. ახლად გადავლილი ბრძოლების ექო ჯერ კიდევ ისმოდა. საქართველოში ბრძოლა ახალი სალიტერატურო ქართული ენისათვის განმტკიცებული იყო დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოხანაოვრით.

სალიტერატურო ენის საკითხები „მამებსა“ და „შვილებს“ ერთნაირად აწუხებდათ. ერთიანი სალიტერატურო ენის პრინციპების შემუშავება ფაქტიურად „მამებმა“ დაიწყეს XIX საუკუნის I ნახევრის მიწურულს: 1860 წლის მაისში ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის „ქართული ეზნობა ანუ წერა“. მას აწუხებს ერთიანი ნორმების უქონლობა — „სხუა და სხუა ჭრელი წერა...“ საეკლესიო, დარბაისლურ და გლეხკაცურ სტილთა

შორის აღ. ორბელიანი უპირატესობას დარბაისლურს ანიჭებდა. ოდონდ საჭიროდ მიაჩნდა მისი სათანადოდ დამუშავება და გაძლიერება სხვა სტილთა დადებითი თვისებების შერწყმის გზით. აღ. ორბელიანი მოითხოვდა სალიტერატურო ენის ზეპირი და წერილი მეტყველების ერთიანობასაც: „რაგჭარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს, რაგჭარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ“. ეს ის მოთხოვნებია, რომელთაც ვ. ტრენიაკოვსკი და ნ. კარამზინი თავის დროზე აყენებდნენ რუსულ მწერლობაში („Писать, как говорят“).

აღ. ორბელიანი დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად დ. ბაქრაძეს იწვევდა. იმავე წელს „ცისკარი“ დ. ბაქრაძის პასუხიც დაიწერა. ამ წერილში ევროპაში საყოველთაოდ მიღებული აზრებია წინ წამოწეული: მისი აზრითაც, რა თქმა უნდა, დარბაისელთა ენა უნდა დასდებოდა საფუძვლად სალიტერატურო ენას. შემდგომი განვითარება კი დიდი მწერლების თხზულებათა ენასა და სტილზე უნდა დამყარებულიყო. ქართველ მწერალთაგან დ. ბაქრაძე ასახელებს შოთა რუსთაველს, სულხან-საბა ორბელიანს, აღ. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანსა და გ. ერისთავს. აქვე ლაპარაკია ევროპული სიტყვების შემოტანის აუცილებლობაზე, რადგან ქართულ ენას ისინი არა აქვს, საზოგადოებრივი ცხოვრება კი ისეთ დონეზეა, რომ გარკვეული რიგის აზრთა გადმოსაცემად ისინი უთუოდ საჭიროა.

ეს ზომიერი აზრები იყო, რომელთაც „ცისკარი“ ავრცელებდა დიდი ხნის განმავლობაში. წლის თავზე იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელიც დიდი რადიკალიზმით არის აღბეჭდილი: გარდა იმისა, რომ ილია ილაშქრებს დარბაისლური ენის წინააღმდეგ და მოითხოვს სალიტერატურო ენის საფუძვლად ხალხის ენის დადებას, რომელსაც თვლის საყოველთაოდ და გასაგებად, ამავე დროს პრინციპულად მოითხოვს ორთოგრაფიულ რეფორმას — მან აღარ იხმარა ის ასოები, რომლებიც ანბანისათვის თავს მოხვეული იყო (გარდა ჳ-სი, რომელიც ამ დროისთვის თვით სალიტერატურო ენამ უარყო, რადგან ფუძე-დიალექტები მას აღარ ხმარობდნენ) და მთელი თხზულებითი საუკუნის განმავლობაში არ იძლეოდნენ ორთოგრაფიული ნორმების განმტკიცების საშუალებას. მართალია, ილია მხოლოდ თავისი პერიოდის ქართულისათვის აყალიბებს ახალ წესებს, მაგრამ სინამდვილეში ქართულ ენას მრავალსაუკუნოვან ბორკილებს უმსხვრევდა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ანბანის ზოგი ნიშნის ზედმეტობას სხვანიც გრძნობდნენ მანამდის, მაგრამ ეს იყო თეორიული მსჯელობა და ვარაუდების დონე, ილიას შეტევა კი ქარიშხლისებურია. იგი მთლიანად ამსხვრევს ორთოგრაფიაში არსებულ წინააღმდეგობებს და ამკვიდრებს ადეკვატურ ენობრივ ფორმებს. ეს რევოლუციის ტოლფა-

სი იყო. კამათში შთელი საზოგადოება ჩაება და მსჯელობამ თითქმის ყველა საკითხი მოიცვა: ერთი მხრით, ძველი ორთოგრაფია და სამი სტილის თეორიის საკითხები, მეორე მხრით, სალიტერატურო ენის ორიენტაციის სხვადასხვა ასპექტები: ტერმინოლოგიისა და საერთოდ ლექსიკის განვითარება, ფრაზის ქართული ბუნების დაცვა და სხვ.

ილიას დიდი დამსახურება იყო საზოგადოების ყველა ძალის ჯერ აღძვრა, შემდეგ კი მათი წარმართვა სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისა და ევროპული პროგრესისაკენ. კონკრეტულ საკითხებზე დავაში ილია ზოგჯერ არც იყო მართალი, ზოგჯერ ჭეშმარიტება უფრო მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო, რაც მოგვიანებით ადვილად დასადასტურებელია, მაგრამ ყოველი სწორი მიგნება, თვით ილიას ეკუთვნოდა იგი თუ მის მოწინააღმდეგეებს, ემსახურებოდა სალიტერატურო ენის განვითარების იმ გზას, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დასახა. ამ გზაზე ყოველი წარმატება ილიას წარმატება იყო. გაკვრით მაინც უნდა ითქვას ზოგი კონკრეტული გადაწყვეტის შესახებ.

ილიამ საყოველთაო გახდა ახალი ორთოგრაფია. სამი სტილი უარყოფილ იქნა და ყველაფერში და ყველგან განმტკიცდა ერთი სალიტერატურო ენა. ანბანის ზედმეტი ნიშნების უარყოფა არ გაძნელებულა, რადგან ისინი ენისათვის ხელოვნურად იყო თავს მოხვეული. არსებითი აქ ის არის, რომ ილიამ შეძლო 15-საუკუნოვანი ტრადიციის დარღვევა პრაქტიკულად, ამისათვის საჭირო იყო გენიოსის შეუფალ პრინციპულობა. ილიას იყო საამისო ძალა.

რაც შეეხება სამი სტილის თეორიას, არსებითად ბრძოლა იყო არა ანტონ პირველის წინააღმდეგ, არამედ სამი სტილის მ. ლომონოსოვისეული გავების წინააღმდეგ. ანტონს არასოდეს დაუცავს სამი სტილის თეორია და, რაც მთავარია, იგი იბრძოდა ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის მთელს საქართველოში, რასაც მიაღწია კიდევ. ეს ყოველმხრივ დადებითი მოვლენა იყო.

ანტონმა სამი სტილის თეორიის არსებობაზე მიუთითა თავისი გრამატიკის პირველ რედაქციაში მხითარ სებასტიელზე დამყარებით, მეორე რედაქციაში კი საერთოდ აღარ უხსენებია იგი. ეს ბუნებრივია, რადგან ანტონის რუსეთში ყოფნის დროს (1757 წლის იანვრიდან 1763 წლის დასაწყისამდე) რუსული ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი უკვე გადაჭრილი იყო მეოთხედ საუკუნეზე მეტი მძაფრი თეორიული დისპუტების შედეგად. ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კიდევ უფრო ადრე მოაგვარეს.

ანტონ პირველი რუსეთში ეცნობა როგორც რუსული, ისე დადასავლეთევროპული ფილოლოგიის მონაპოვარს, რის შესახებაც დაწვრილებით უწერია „ქართული ღრამბატიკის“ „შეყუანილობაში“ (წინასიტყვაობაში).

ანტონს შეგნებული ჰქონდა ერთიანი სალიტერატურო ენის დიდი როლი ეროვნული მთლიანობის შედუღებაში. ნორმირებული სალიტერატურო ენის შექმნა ანტონის მიერ უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმე იყო ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სახელმწიფოში. აი, რას წერს აკად. ს. ჯანაშია ამის შესახებ:

„... როგორც ცდა ანარქიის მოსასპობად სალიტერატურო ენასა და დაწერილობაში და შათი სტიქიური განვითარების სავალდებულო ნორმათა კალაპოტში მოსაქცევად, — ამ ნორმებისათვის სახელმწიფოებრივი დასტურის ძიებასთან ერთად (ანტონი სამეფო სასჯელს უქადის მისი ზოგიერთი ორთოგრაფიული წესის დამრღვეველთ), — ეს მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემაზე დამყარებული რეფორმა მაჩვენებელი იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი დაწინაურებისა. სამწერლო ენის საყოველთაოდ სავალდებულო ნორმების საჭიროების შეგნება არ შემოიფარგლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებით... მთელი ქართველობა საერთო სულიერ ცხოვრებაშია შებმული და სათანადო ევოლუციის ტემპიც თითქმის თანაბარია საქართველოს ყველა რაიონში... თბილისში 1800 წელს დაბეჭდილი თხზულება მოკლე ხანში სახელმძღვანელო ხდება სამეგრელოშიაც, როგორც დავრწმუნდით, ეს ნაკადი სწვდება აფხაზეთსაც; სამთავროს კანცელარიის ქართული საბუთების ზემოთ აღნიშნული სტილი და მართლწერა ანტონისეულია“<sup>2</sup>.

ის დიდი შედეგი, რომელსაც ანტონ პირველმა მიიღწია სალიტერატურო ქართულის ნორმირებაში. შუალედური და ამავე დროს შემაკავშირებელი რგოლია XII საუკუნეში იოანე პეტრიწისა და მისი სკოლის, ზოლო XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძისა და პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმებისა (ცალკეული ენობრივი მოვლენების მიხედვით ამის ჩვენება რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენს). მიუღებელი რაც იყო ანტონის მიერ შექმნილ სალიტერატურო ენაში — ის არის ძველი (X—XII სს.) ორთოგრაფია და პირადად ანტონის მეცნიერული სტილი. ანტონის მიერ შემოღებული ბევრი გრამატიკული ნორმა დღემდე შემორჩა სალიტერატურო ქართულს. ასე, მაგალითად, ადამიანთა სახელების განსხვავება წოდებით ბრუნვაში საზოგადო სახელებისაგან ანტონის დადებული წესია; მანვე გაათანაბრა დანარჩენ ბრუნვებში საზოგადო და საკუთარი სახელები ფორმაწარმოების დაცვით. ძველი და კლასიკური პერიოდის ქართულ ძეგლებზე აღზრდილი და განსწავლული კაცისათვის ადვილი არ იყო ამის გაკეთება. ანტონმა გადადგა ეს

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე. იხ. წიგნი: გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. სოხუმი, 1946, გვ. 41.



დემოკრატიული ნაბიჯი იტალიელი მისიონერებისა და სულხან-საბა ორბელიანის მემკვიდრეობაზე დაყრდნობით. „ქართული ღრამმატიკის“ პირველი და მეორე რედაქციების შედარებით ცხადი ხდება, რომ ანტონს ზმნათა ძველი ფორმები რიგ შემთხვევაში შეუცვლია მისი დროის სამეტყველო ფორმებით, ე. ი. ენის დემოკრატიზაციას ის ფართო მასშტაბით ახდენდა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ანტონი თავის თხზულებებში ხშირად არ იცავს ამ წესებს. კლასიკური პერიოდის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაშრომების ენა მას ისე იზიდავს, როგორც ცეცხლი ფარვანას. ანტონი ვერ განთავისუფლდა მისი გავლენისაგან და ამით ბევრი დააკლო უპირველესად თავის თავს.

ფრიად საყურადღებოა ილიასეული ფორმულა — „ხალხია ენის კანონის დამდები...“ ილია ერთგული იყო ამ დებულებისა; „ნიჭიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისთვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე“, — წერდა ილია „პასუხში“. სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი ზოგი ფორმა შესაძლოა ზემოთ აღნიშნული ფორმულის ზედმეტი ერთგულების შედეგი იყოს. მხედველობაში გვაქვს სუბუქ ფრთებით, შენ გიჟმა ტიპის შესიტყვებები, დაუკარგოთ, უწინასწარმეტყველებო, გაუკეთებო... I პირის ფორმები, რომლებიც ხალხის ენაში უდავოდ არსებობდა ილიას დროსაც, მაგრამ ხალხის ენის ფორმათა პირდაპირ გადატანა სალიტერატურო ენაში, რა თქმა უნდა, არ იყო გამართლებული, უთუოდ საჭირო იყო ლიტერატურული ტრადიციის გათვალისწინება და ჭეშმარიტ მწერალთა შეწევნა. ამის დიდებულ ნიმუშს თვით ილია წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „მამათა“ ბანაკის წარმომადგენლის გრ. ორბელიანის მსჯელობა: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვჰსწერთო“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ?“ — კითხულობს ვაოცებული გრ. ორბელიანი, შემდეგ განაგრძნობს: „ხალხის ენა არის მხოლოდ მისალა შეუმუშავებელი; ვიდრე დაველოენებული მწერალი მისალასა მას არ გადაარჩევს, კარგსა უფარვისისაგან არ გაჰსქმენდს, არ გაამჰტყნინებებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოში, მერე იმ ვალამაზებულსა ენასა განჰტყნინებულის ქორმითა ვადმოჰსცემს მოსამარებლად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა...“ („მეზავრობა სვანეთისაკენ“ გ: წ: განხილვა“, 1873 წ.).

გრიგოლ ორბელიანი გრამატიკას, ილიასგან განსხვავებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, იცავდა ტრადიციულ ორთოგრაფიას (უთითებდა პლ. იოსელიანის გრამატიკას), მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო ამ პერიოდში. ორივე დიდი მწერალი იყო და თავისი შემოქმედებით დიდად უწყობდა ხელს სალიტერატურო ენის განვითარებას. ამი-

ტომ იყო, რომ ერთიმეორის თხზულებებზე უთითებდნენ, როგორც სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სანიმუშო ქმნილებებზე. არსებობდა ისინი ერთი გზით მიდიოდნენ. გრ. ორბელიანი ზოგჯერ ვერც ახერხებდა ტრადიციული ორთოგრაფიის დაცვას და იყენებდა თავისი დროის სამეტყველო ფორმებს. დიდი მისი დამსახურება ქართული გამართული ფრაზისა და სტილისათვის ბრძოლაში. ილიას მსგავსად, გრ. ორბელიანიც დაუნდობელია მათ მიმართ, ვინც ენას ამახინჯებს. აი, მის მიერ დაწუნებული ფრაზები: „იმას გონება არაფრათ გაჰკვირს“ (გავიხსენოთ ილიასგან უარყოფილი „ხელი გავიქნიე ფეხი“); „საკუთარი ფეხით ჩემ აზრზე დამდგარვიყავ“ (შდრ. ილიას დაწუნებული „სატრფოს თავი ჩემზედა რას ფიქრობს“) და სხვ.

საერთო ძალისხმევით ქართული მოწინავე მწერლობა კამათისა და კრიტიკის გზით აყალიბებს სალიტერატურო ქართულის იმ დიდებულ სახეს, რომელიც მან მიიღო XIX საუკუნის დასასრულს. ამ კეთილშობილური საქმის მოთავე დიდი ილია იყო.